ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**გ-13.13221753**
თარიღი:**24/06/2022**

ა(ა)იპ ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის'' (ს/კ 424069616) ლიკვიდაციის პროცესის განხორციელების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ბ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს ა(ა)იპ ,,ახალციხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის'' (ს/კ 424069616) ლიკვიდაცია და ლიკვიდაციის პროცესის უზრუნველყოფის მიზნით დანიშნოს ლიკვიდატორი.

2. რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. № 60 ᵃ).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი